

სკრინინგის ანგარიში

შესავალი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლესიჭინეში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ს/კ 46.05.35.278 და 46.05.35.277 ნაკვეთებზე, რომლის ჯამური ფართობი შეადგენს 300 001 მ², სადაც დაგეგმილია ლურჯი მოცვის ბაღების გაშენება, რისთვისაც საჭიროა სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია.

წარმოდგენილი პროექტი - „სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია“ წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 1.3 ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას და დაგეგმილი საქმიანობა ამავე კოდექსის თანახმად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს შპს „ბიომო ა“-ს ს/კ 46.05.35.277 საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომლის ფართობია 150001 მ² და შპს „ბიომო ბ“-ს ს/კ 46.05.35.278 საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომლის ფართობია 150000 მ². ვინაიდან, ორივე საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია ლურჯი მოცვის ბაღების გაშენება, ორივე საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მომიჯნავე მიწის ნაკვეთს, ფინანსური რესურსის დაზოგვის მიზნით აღნიშნული კომპანიების შეთანხმების საფუძველზე დაიგეგმა ერთობლივი სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია (იხ. დანართი).

შეთანხმების/ხელშეკრულების თანახმად გადაწყდა, რომ საპროექტო ტერიტორიისთვის სამელიორაციო სისტემის მოწყობას და ექსპლუატაციას განახორციელებს შპს „ბიომო ა“ (ს/კ 402182810) და შესაბამისად „გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების“ კოდექსის მეშვიდე მუხლის თანახმად სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილება გაიცეს შპს „ბიომო ა“-ზე.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ლურჯი მოცვის (ლეგასი, ბლუკროპი) დაახლოებით 80 000 ძირი ნერგის გაშენება არსებული 300 001მ² ფართობიდან 285 000 მ² ფართობზე. ლურჯი მოცვის ახლად დარგულ ნერგებს გასახარებლად, ხოლო შემდგომში მოცვის ბაღს ექსპლუატაციისთვის ესაჭიროება მორწყვა. ბაღის მოსარწყავად იგეგმება წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა, რომელიც წყლის ეკონომიური ხარჯვით ხასიათდება. ლურჯი მოცვის ნერგები ძირითადად მორწყვას საჭიროებს მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში (მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი). ერთ ძირს საშუალოდ ესაჭიროება 5-6 ლიტრი წყალი ყოველდღიურად, რაც დაგეგმილი საპროექტო მაჩვენებლებით შეადგენს მაქსიმუმ 480 მ³-ს დღის მანძილზე. ნაკვეთის მთელ ფართობზე გამოყენებული წყლის მოცულობა წლის მანძილზე შეადგენს 86 400 მ³-ს. სამელიორაციო სისტემის წყალმომარაგებისთვის წყალაღება დაგეგმილია ზედაპირული წყლის ობიექტიდან მდინარე ოჩხომურიდან, სადაც განთავსდება წყლის ტუმბო, ზღვის დონიდან 85 მ-ზე (GPS კოორდინატები: X-260726.6; Y-4705437.7). წყალაღების წერტილიდან საპროექტო წვეთოვანი

გამანაწილებელ სადგურამდე გათვალისწინებულია დაახლოებით 1190 მ სიგრძის მილსადენის განთავსება ძალოვან კაბელთან ერთად გრუნტში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი საპროექტო წყლის მოხმარების რაოდენობა გათვლილია ყველაზე არახელსაყრელი კლიმატური პირობების შემთხვევაში (გვალვიანი წელიწადი). როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დასავლეთ საქართველოში სამეგრელოს რეგიონისთვის შედარებით ნაკლები ნალექების რაოდენობით ხასიათდება აგვისტო და სექტემბერი, ხოლო წელიწადის დანარჩენი თვეები ზომიერად ნალექიანია, ამიტომ, წინასწარი შეფასებით წარმოდგენილი საპროექტო წყლის მაქსიმალური ათვისება მოსალოდნელი არ არის.

საკანონმდებლო საფუძველი

სკრინინგის ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს შესაბამისად.

პროექტი განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 1.3 ქვეპუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულ საქმიანობას და შესაბამისად იგი ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში მომზადებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა მოიცავდეს:

- მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს ამ განცხადების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას. საზოგადოებას უფლება აქვს, სკრინინგის განცხადების ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან 7 დღის ვადაში, ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით წარუდგინოს სამინისტროს მოსაზრებები და შენიშვნები ამ განცხადებასთან დაკავშირებით. სამინისტრო იხილავს საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს, ხოლო შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში იღებს მათ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სამინისტრო შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს:

- საქმიანობის მახასიათებლები;
- საქმიანობის მასშტაბი;
- არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
- ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
- ნარჩენების წარმოქმნა;
- გარემოს დაბინძურება და ხმაური;
- საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:
- ჭარბტენიან ტერიტორიასთან;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
- ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
- დაცულ ტერიტორიებთან;
- მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;
- საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:
- ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
- ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

თუ სამინისტრო სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს არ ექვემდებარება, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.

სკრინინგის პროცედურის დასრულებიდან 5 დღის ვადაში სამინისტრო უზრუნველყოფს დასაბუთებული სკრინინგის გადაწყვეტილების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას.

პროექტის დასაბუთება

არსებული დამშრალი ხელოვნური წყალსატევი ღია აუზის ტიპისაა და წარმოდგენილია ს/კ 46.05.35.278 მიწის ნაკვეთზე, ძირითადად უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, რომლის ზედაპირის ფართობი შეადგენს 8625 მ².



ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წლების წინ წყალსაცავში დაგროვილი წყალი გამოიყენებოდა სამელიორაციო საქმიანობისთვის. ამჟამად სარწყავი სისტემის შესაბამისი ინფრასტრუქტურა ამორტიზირებულია. წყალსატევის პირვანდელი ფართობი და წყლის მოცულობა საკმაოდ შემცირებულია, რაც დამატებით კლიმატური პირობებით იქნა გამოწვეული. აღნიშნულ წყალსატევეში იქტოფაუნა წარმოდგენილი არ არის.

ხელოვნური წყალსატევი წარსულში ძირითადად საზრდოობდა ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მომავალი ხელოვნური არხით. ამჟამად არხი ამორტიზირებულია და არხში არსებული მცირე დებეტით მთლიანად სარგებლობს საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით მოსაზღვრე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მეურნეობები, რამაც გამოიწვია დებეტის მნიშვნელოვანი შემცირება წყალსატევეში და მთლიანად დამოკიდებული გახადა ატმოსფერულ ნალექებზე.


ამჟამად წყალსატევი სეზონური რეგულირებისა და საზრდოობს ატმოსფერული ნალექებით ძირითადად შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, რაც არახელსაყრელს ხდის ხელოვნური წყალსატევის თავდაპირველი დანიშნულებით სარგებლობისთვის.


ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით გადაწყდა დამშრალი წყალსატევის ფართობის ათვისება და ტერიტორიაზე მოცვის ბაღების გაშენება. ხოლო, მოცვის ბაღებისთვის სარწყავი წყლით უზრუნველყოფა დაიგეგმა მდინარე ოჩხამურიდან.

საპროექტო ტერიტორიის აღწერა და გარემოს ფონური მდგომარეობა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფელ ლესიჭინში ზღვის დონიდან 172 მეტრის მანძილზე, ოდიშის დაბლობზე, მდინარეების – ხობისწყალი, ოჩხამურის, ზანისა და ცივის სანაპიროებს შორის. ჩხოროწყუდან 8 კილომეტრის ხოლო ქ. სენაკიდან 32 კმ-ის მანძილზე (უახლოესი სარკინიგზო ტრასა). სოფ. ლესიჭინეს ფართობი 35,8 კმ²-ია. მოსახლეობა კი 4400 ადამიანს შეადგენს. სოფელს აღმოსავლეთით ესაზღვრება სოფ. ახუთი და ფოცხო, დასავლეთით ხიბულა და კირცხი, ჩრდილოეთით ქვედა ჩხოროწყუ, სამხრეთით კი სოფ. ზანა. მდინარე ოჩხამური, საიდანაც სამელიორაციო სისტემის წყალმომარაგებისთვის გათვალისწინებულია წყალღება საპროექტო ტერიტორიიდან დასავლეთით დაახლოებით 800 მეტრის მანძილზეა დაშორებული.

საპროექტო ნაკვეთს ირგვლივ ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს ს/კ 46.05.35.278 მიწის ნაკვეთის საზღვრიდან ჩრდილოეთით 78 მეტრის მანძილზე, ხოლო ს/კ 46.05.35.277 მიწის ნაკვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრიდან 210 მეტრის დაშორებით.





საპროექტო მიწის ნაკვეთების განაპირა საზღვრიდან დასავლეთით დაახლოებით 30 მეტრის დაშორებით გადის საავტომობილო გზა.

წარმოდგენილი ორივე მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია ელ.ენერგიით (ადგილობრივი ელექტრო ქსელიდან-ელ.ენერგიით მომარაგებას უზრუნველყოფს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“) და შემოსაზღვრულია მესერიით.

საპროექტო მიწის ნაკვეთების დასავლეთით დაახლოებით 500 მ-ის მანძილზე მდინარე ოჩხამურის მიმართულებით მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ჩხოროწყუს სატყეო უბანი.

სამელიორაციო სისტემის წყალმომარაგებისთვის წყალაღება მოხდება ზედაპირული წყლის ობიექტიდან მდინარე ოჩხომურიდან სადაც განთავსდება წყლის ტუმბო, ზღვის დონიდან 85 მ-ზე (GPS კოორდინატებია: X-260726.6; Y-4705437.7).

წყალაღების წერტილიდან (ტუმბოს განთავსების ადგილიდან) მაგისტრალური მილსადენი დაერთდება წვეთოვანი სისტემის გამანაწილებელ საპროექტო სადგურზე (ზღვის დონიდან 118 მ) რომელიც მოეწყობა არსებული ხელოვნური წყალსატევის ტერიტორიის მიმდებარედ, შემდგომ მოხდება საპროექტო ტერიტორიის დაქსელვა წვეთოვანი სისტემით და საპროექტო სატუმბი სადგურის საშუალებით ნარგავებისთვის წყლის მიწოდება.

წყალაღების წერტილიდან საპროექტო ხაზობრივი ნაგებობა მიუყვება მდინარე ოჩხამურის მარცხენა ჭალა-კალაპოტის პირველ ტერასას აღმოსავლეთის მიმართულებით, რომელიც ძირითადად თავისუფალია მრავალწლიანი ხე-მცენარეებისგან, შემდგომ კვეთს კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ 46.05.34.152),

სადაც გაშენებულია თხილის ბაღები და ტრასის ეს მონაკვეთი სრულდება ზღვის დონიდან 112 მეტრის სიმაღლეზე. ამის შემდეგ ხაზობრივი ნაგებობა თითქმის სრულად იმეორებს შიდასასოფლო სამეურნეო დანიშნულების გრუნტის გზის კონტურს საპროექტო მიწის ნაკვეთამდე და სრულდება საპროექტო წვეთოვანი სისტემის გამანაწილებელ სადგურთან. (GPS : X-261588; Y-4704968)

კლიმატური პირობები

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი საქართველოს სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით მიეკუთვნება III-ე კლიმატურ და III-ბ ქვერაიონს. წარმოდგენილ რაიონში გაბატონებულია კოლხეთის დაბლობისთვის დამახასიათებელი ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი. კლიმატური პირობების ჩამოყალიბებას განაპირობებს შავი ზღვის უშუალო სიახლოვე და დასავლეთიდან შემოჭრილი ნოტიო ჰაერის მასების გავლენა. სოფ. ლესიჭინე შედის ზღვიური სუბტროპიკული ნოტიო ჰავის ოლქის თბილი ზამთრის და ცხელი ზაფხულის ნოტიო ქვეზონაში კარგად გამოსახული მუსონური ხასიათის ქარებით და ნალექების მაქსიმალური რაოდენობით ზაფხულსა და შემოდგომაზე. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 2053 მმ-ს შეადგენს. ჰაერის მრავალწლიური საშუალო-თვიური ტემპერატურა იანვარში 3,8°C-ია, ხოლო საშუალო-მაქსიმალური ტემპერატურა აგვისტოში 28,4°C-ს აღწევს. გაბატონებულია ჩრდილოეთის (20%), სამხრეთ-დასავლეთის (23%), ჩრდილოეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის (15%) ქარები. ქარების საშუალო წლიური სიჩქარე შეადგენს 3.1 მ/წმ-ს, ხოლო თვიური სიჩქარეები იცვლება 2.8-დან (ნოემბერი, დეკემბერი) 3.6 მ/წმ-მდე (აპრილი).

გეოლოგია და გეომორფოლოგია

რაიონის ტერიტორიის სამხრეთი ნახევარი კოლხეთის ბარის ფარგლებშია (100-500-მ-ზე), იგი წარმოადგენს სუსტად დანაწევრებულ ვაკესა და მთისწინეთს, ვაკე აგებულია მეოთხეული (რიყნარი, ქვიშები, თიხები) და მესამეული (ოლიგოცენური და ნეოგენური) დანალექი წყებებით - თიხები, ქვიშაქვები, კირქვები, კონგლომერატები, მერგელები. მთისწინეთის ზონა ძირითადად აგებულია ცარცული კირქვებით, მერგელებით, ქვიშაქვებით. ჩრდილოეთ ნახევარში მთაგორიანი რელიეფია. ჩრდილოეთით აღმართულია ეგრისის ქედი, რაიონის სამხრეთ კალთა აგებულია შუა იურული პორფირიტებით და მათი ტუფებით, ტუფ-ბრექჩიებით, ტუფ-ქვიშაქვებით, ფიქლებით, ქვიშაქვებით, თხემური ნაწილი - ქვედა იურული თიხაფიქლებით, ქვიშა-ქვებით, კირქვებით. იგი დანაწევრებულია მდ. ხობისწყლისა და მისი შენაკადების ღრმა ეროზიული ხეობებით. უმაღლესი ადგილია მთა ომაჭირხოლე (3166 მ). რაიონის ტერიტორიაზეა გარახის, ნაზოდელავოს, სავეკუოს, ყალიჩონის კლასტოკარსტული მღვიმეები და კარსტული მღვიმე შერუბუმუ.

საქართველოს გეომორფოლოგიური დარაიონების სქემატური რუკის მიხედვით საკვლევი ტერიტორია განლაგებულია სამეგრელოს შემადლებული სინკლინური ვაკე-ზეგანის ეროზიულ-დენუდაციურ რელიეფზე.

თანამედროვე გეოდინამიკური პროცესები

შესწავლილი ნაკვეთის ფარგლებში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიკური პროცესების ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღინიშნება, უბანი მდგრადია და პერსპექტიული ათვისებისათვის კარგ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება, ხოლო გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და სინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების თანახმად, განეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას.


საყურადღებოა, რომ მომავლისთვისაც აქ არ არსებობს რაიმე ბუნებრივი წინაპირობა დღეისათვის ჩამოყალიბებული მდგრადობის დასარღვევად. საპროექტო არეალი მომავალშიც შეინარჩუნებს არსებულ მდგრადობას.

სეისმური პირობები

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი; სამშენებლო ნორმების და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09)-დამტკიცების შესახებ), რაიონის ტერიტორიის ამგები გრუნტები სოფ. ლესიჭინესთან ამავე დოკუმენტის N1 ცხრილით სეისმური თვისებების მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას. აქედან გამომდინარე საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიანი მიწისძვრების ზონას.

საისმარო საშიშროების რუკა

მაქსიმალური პორიზონტული აჩქარება



ნიადაგები და ლანდშაფტი

მუნიციპალიტეტის დაბლობზე სუბტროპიკული ეწერი და ალუვიურ-კარბონატული ნიადაგებია. მთისწინეთში გავრცელებულია ყვითელმიწები და წითელმიწები, ზოგან გაეწერებული. დიდი ფართობი უჭირავს მთის ტყისა და მთის მდელოს ნიადაგების ნაირსახეობებს : ტყის ყომრალ და კორდიან-კარბონატულ, საშუალო და მცირე სისქის ყომრალ, მდელოს კორდიან და კორდიან-ტორფიან, ასევე მთის მდელოს პრიმიტიულ მცირე სისქის კორდიან-ტორფიან ნიადაგებს. წითელმიწებსა და ყვითელმიწა ნიადაგებზე გავრცელებულია ჩაის კულტურა, ასევე თხილის კულტურა. ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე წარმოდგენილია მარცვლული და პარკოსანი კულტურები, ძირითადად სიმინდი, სოიო, ლობიო და სხვა. ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის სიმძლავრე დაახლოებით 20-25 სმ-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოხატულია ლანდშაპტის სიმაღლებრივი ზონალობა. კერძოდ, განვითარებულია შემდეგი ფორმები : ნოტიო სუბტროპიკული, დახრილი ვაკედაბლობები კოლხური მცენარეულობით, ნოტიო სუბტროპიკების ბორცვიან-ბექობიანი მთისწინეთი კოლხური მცენარეულობით.

ჰიდროგეოლოგიური პირობები

მდინარე ოჩხომური სათავეს იღებს სამეგრელოს ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მთა მიგარას ფერდობზე 1400 მეტრ სიმაღლეზე და ერთვის მდ. ხობს მარცხენა მხრიდან 81 კმ-ზე შესართიდან, სოფელ ლესიჭინეს სამხრეთ-დასავლეთით 1,2 კმ-ში. მდ. ოჩხომურის სიგრძე შეადგენს 47 კმ-ს, მდინარის ვარდნა 1320 მეტრია, საშუალო დახრილობა 28,1 0/00 პრომილე, მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობი 163 კმ², მდინარის წყალშემკრები აუზის საშუალო სიმაღლე 360 მეტრი. მდინარე ოჩხომურს ერთვის სხვადასხვა თანრიგის 126 შენაკადი, რომელთა ჯამური სიგრძე შეადგენს 191 კმ-ს. შენაკადებს შორის ყველაზე დიდი მდ. ჩოგა (სიგრძე 12 კმ). მდ. ოჩხომურის წყალშემკრები აუზის მდიანრეთა ქსელის სიხშირის კოეფიციენტი შეადგენს 1,57 კმ/კმ². საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში (მდ. ოჩხომურის წყალაღების კვეთი X-260749;Y-4705444) მდ. ოჩხომურის სიგრძე შეადგენს 43 კმ-ს, მდინარის ვარდნა 1325 მეტრია, მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობი 161 კმ², მდინარის წყალშემკრები აუზის საშუალო სიმაღლე 422 მეტრი. მდ. ოჩხომურის აუზის მდებარეობს მდ. ხობისა და მდ. ტეხურის წყალშემკრებ აუზებს შორის. მდ. ოჩხომურის წყალშემკრები აუზი ასიმეტრიული ფორმისაა, მიედინება ჩრდილოეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, წყალშემკრები აუზის სიგანე 6-7 კმ-ია, მდინარე სათავიდან 4-5 კმ-ს მანძილზე მაღალმთიან 1000-1200 მ. ზონაში გაედინება (ფოთლოვან ტყიანი ზონა), სოფელ კურზუსთან რელიეფის სიმაღლე 200-400 მეტრია. აუზის ზედა ნაწილი აგებულია კირქვებით, დანარჩენ ნაწილში კონგლომერანტებით მერგელებით, ქვიშნარით და თიხა-ფიქლებით. მდინარის ზედა ნაწილი დაფარულია ფოთლოვანი ტყით. მდინარის კალაპოტი კლაკნილია. სამეგრელოს ქედი, კავკასიონის სისტემის სამხრეთ კალთის გასწვრივი გვერდითი ქედი, მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის წყალგამყოფია. სიგრძე 62 კმ, სიგანე 37 კმ. უმაღლესი წერტილია მწვერვალი

ჭითაგვალა (3226 მ). 3000 მ-ზე მაღალი მწვერვალებია: ცალმაგი, ტეხურიშდუდი, ლაკუმურაშდუდი, დიდლალიდუდი, ოთეფურა, თხეიშიშდუდი და სხვა. ეგრისის ქედის უმეტესი ნაწილი აგებულია შუაიურული პორფირიტული წყებით, რომელიც ქმნის ქედის დაკბილულ თხემს, ქედის სამხრეთ პერიფერიულ ზოლში გავრცელებულია ცარცული კირქვები, რომლებითაც აგებულია კარსტული მასივები: წულიში, ყვირა, გაუჩა, მიგარია და ასხი. თხემზე შემორჩენილია პატარა მყინვარები და ძველი განყინვარების კვალი. ეგრისის ქედიდან სამხრეთისაკენ ჩამოედინება მდინარეები: მაგანა, ჭანისწყალი, ხობი, ტეხური, ჩრდილოეთისაკენ - თხეიში, კასლეთი და ხელედულას მარჯვენა შენაკადები. მაგანას სათავეებში, 2643 მ სიმაღლეზე, არის მყინვარული ტბა ტობავარჩხილი. სხვა ტბებიდან აღსანიშნავია ოხოჯა და დიდი ტობავარჩხილი. მდინარე ოჩხამური ხასიათდება წყალმოვარდნებით მთელი წლის განმავლობაში, გარდა მოკლე პერიოდისა (VII-VIII) თვეებისა. წყალმოვარდნები ხშირია გაზაფხულზე და განსაკუთრებით შემოდგომით.

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება პონტური და მეოტური ასაკის ლაგუნის და ზღვიური ნალექების წყალშემცველ კომპლექსს. საქართველოს მთათაშუა დებრესიის ჰიდროლოგიურ ოლქის, II¹⁴ ოდიშის არტეზიულ აუზს.

ბიოლოგიური გარემო

ფლორა

საკვლევი ტერიტორია დაბლობისთვის დამახასიათებელი ლანდშაფტითაა წარმოდგენილი. კოლხეთის რელიქტური შერეული ფართოფოთლოვანი ლეშამბიანი ტყეები ამჟამად მნიშვნელოვნადაა სახეცვლილი ხანგრძლივმოქმედი ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად და დღეისათვის ამ ტყეების მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი მიუდგომელ ადგილებზე სადაც ანთროპოგენური დატვირთვა მინიმალურია ან საერთოდ არ არის. ისინი გვხვდება დაბლობსა და მთისწინებზე, ზღვის დონიდან 250-300 მ-ის სიმაღლეებზე, ტყეები წარმოდგენილია კოლხური და იმერული მუხით, ასევე გვხვდება რცხილა და ძელქვა. ტყეებში იზრდება ფრთანაყოფა ლაფანი, ჩვეულებრივი მურყანი, წაბლი, წიფელი, რცხილა. ამ ტყეებში ფართოდაა გავრცელებული ლიანები, რომელთა შორის აღსანიშნავია კოლხური სურო, ეკალიჭი, სვია, ღვედკეცი. ქვეტყე მდიდარია მარადმწვანე და ფოთოლმცვენი ბუჩქებით. მათ შორის არის კოლხეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიული ერთეულის დამახასიათებელი მცენარეები როგორებიცაა : პონტოს შქერი, კოლხური ჭყორი, კოლხური ძმერხლი, იმერული ხეჭრელი და სხვ.

აღნიშნულ ეკოსისტემებში ხეების იარუსი ხასიათდება მურყნის პრაქტიკულად სრული გაბატონებით. ზოგჯერ მურყნარებში შიგადაშიგ დარგულია კაკალიც. ამ იარუსში ლოკალურად დაფიქსირდა ყვითელი იელი, მაღალი ეკალიჭი, მაცვალი, ჩვეულებრივი თხილი, წითელი ჩიტავაშლა.

საკვლევ ტერიტორიაზე საბაზისო საველე კვლევის ფარგლებში გამოვლენილი არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი ჰაბიტატი ან სახეობა. საველე კვლევამ გამოავლინა, რომ ობიექტის მთელი ტერიტორია და მისი შემოგარენი წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო მიწებით, სადაც იზრდება სხვადასხვა სარეველები და მარცვლოვნებთან ერთად მზარდი მცენარეები.

გავრცელებულია ყვავილწვრილა, ამბროზია, შალაფა და სხვა ბალახოვანი მცენარეები. ასევე მეორადი მდელოები. მათ შექმნაში მონაწილეობს ისეთი სახეობები, როგორებიცაა ერთწლოვანი თივაქასრა, ესპანური კლდისდუმა, მრავალწლოვანი ზიზილა, ჩვეულებრივი მამულა, ზაია. ხშირია ასევე ეწერის გვიმრაც. შერჩეული ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, რის გამოც ჩამოყალიბებულია ტიპური ლანდშაფტი და აქედან გამომდინარე ტერიტორიისათვის მნიშვნელოვანი დამცავი ღონისძიებები საჭიროება არ დგას.

ფაუნა

რაიონში ძირითადად გვხვდება ბარისა და ტყეების ბინადრები. მტაცებლებიდან გავრცელებულია მგელი, მელა, ტურა, ფოცხვერი, გარეული ღორი, თეთრგულა კვერნა, დედოფალა, გვხვდება მურა დათვიც. ბალახისმჭამელებიდან: არჩვი, კურდღელი, მაჩვი, ზღარბი, ჩვეულებრივი მემინდვრია და სხვა. რეპტილიებიდან გვხვდება ბალახის გველი, ყვითელმუცელა, კავკასიური გველგესლა, ხვლიკი. ამფიბიებიდან : ბაყაყი, ჭაობის ბაყაყი, ჩვეულებრივი ხის ბაყაყი. ფრინველებიდან გავრცელებულია მწყერი, ხოხობი, კავკასიური როჭო, ბელურა, შაშვი, ყვითელი ბოლოქანქარა, სკვინჩა, დიდი წივწივა, კაჭკაჭი. საპროექტო ტერიტორია არ წარმოადგენს ფრინველთათვის მნიშვნელოვან ადგილს დომინანტი სახეობები, რომლებიც ადგილზე ყოფნისას ყოველ საკვლევ უბანზე ფიქსირდებოდნენ იყვნენ ბელურისებრთა რიგის წარმომადგენელი შემდეგი ფრინველები: შაშვი, რუხი ბოლოქანქარა, ყვითელი ბოლოქანქარა, სკვინჩა, ჩვეულებრივი ღაჟო და დიდი წივწივა.

საკვლე კვლევის ფარგლებში ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე და მის მახლობლად ამ დროისათვის გვხვდება მხოლოდ მცირე რაოდენობის მომცრო ზომის ძუძუმწოვრები-წავი, მინდვრის თაგვები, ქვეწარმავლები და ამფიბიები. პროექტის ზეგავლენის არეალში განსაკუთრებული სიმრავლით ფრინველთა ჰაბიტატები არ დაფიქსირებულა. თუმცა, ორნიოთოფაუნის წარმომადგენლებიდან გვხვდება ერთეული რაოდენობის წვრილი ბელურასნაირი ფრინველები, კაჭკაჭი და ყვავი. ტერიტორია არ წარმოადგენს ფრინველებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ადგილს. უშუალოდ ტერიტორიის გავლენის ზონაში ფრინველების საბუდარი ადგილები არ დაფიქსირებულა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საპროექტო ტერიტორია გარშემორტყმულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით და შემოსაზღვრულია მესერიით, რაც გამორიცხავს მიწის ნაკვეთზე მსხვილფეხა საქონლის მოხვედრას.

საპროექტო ტრასის აღწერა

საპროექტო ტერიტორია ვიზუალური შეფასებით ენდემური ჰაბიტატებისგან თავისუფალი და სახეცვლილია, წლების მანძილზე განიცდიდა ანთროპოგენულ ზემოქმედებას და გამოიყენებოდა სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით.

საპროექტო მიწის ნაკვეთი სადაც იგეგმება ლურჯი მოცვის ბაღების გაშენება წარმოდგენილია რელიეფით, რომელიც თითქმის მთლიანად დაუნაწევრებელი, ერთიანი და სწორია. რელიეფის დახრილობა საშუალოდ 5⁰ გრადუსს შეადგენს აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით.

სამელიორაციო სისტემის წყალმომარაგებისთვის წყალაღება განხორციელდება მდინარე ოჩხამურის მარცხენა ნაპირზე (GPS : X-260726.6; Y-4705437.7), სადაც მდინარის კალაპოტში ვერტიკალურად განთავსდება მილი და ტუმბო.

ტუმბოს განსათავსებლად გამოყენებული იქნება გოფირებული მილი, რომელიც ირგვლივ უზრუნველყოფილია სპეციალური ნახვრეტებით, რაც წყლის შემოდინებას უზრუნველყოფს და იცავს ტუმბოს მდინარის ნატანი მასალით დაზიანებისგან. ტუმბოს განთავსებისთვის შერჩეული ტერიტორია თავსებადი და მდგრადია. ადგილზე არ ფიქსირდება თანამედროვე საშიში გეოლოგიური პროცესები ან მათ მიერ დატოვებული შეცვლილი ფორმები.

წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრულია სამელიორაციო სისტემის ხაზობრივი ნაგებობის მოწყობისთვის დაახლოებით 1190 მ-ის მანძილზე-საპროექტო ტერიტორიამდე გრუნტში მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის მილის და ელ/სადენის გოფირებულ სპეციალურ დამცავ მილში განთავსება. ხაზობრივი ნაგებობები გრუნტში განთავსდება 60 სმ სიღრმეზე.

აღნიშნული სამუშაოებისთვის განსაზღვრულია 40 სმ სიგანის ტრანშეის მოწყობა. მიწის სამუშაოებისას განხორციელდება ნაყოფიერი ფენის მოხსნა, ცალკე დასაწყობება ტრანშეის ერთ მხარეს, ხოლო მეორე მხარეს განთავსდება ექსკავირებული გრუნტი.

სამელიორაციო სისტემის ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის შერჩეულია ოპტიმალური მარშრუტი. ხაზობრივი ნაგებობის განთავსების ტრასა ადვილად ადაპტირებადი და თავსებადია დაგეგმილი საქმიანობისთვის. მაგისტრალური მილის დერეფანის ძირითადი ნაწილი ერთგვაროვანია და ბალახოვანი საფარისა და ერთეული ბუჩქნარი მცენარეულობით ხასიათდება.

ხაზობრივი ნაგებობა წყალაღების წერტილიდან იწყება და კვეთს მდ. ოჩხამურის ჭალა-კალაპოტის პირველ ტერასას 145 მეტრის მანძილზე. მდინარის ჭალა წარმოდგენილია კენჭნარით, თიხისგან, ქვიშისა და ერთეული ბუჩქოვნი მცენარეებით. ამ მონაკვეთზე მიწის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე 20 სმ-ს არ აღემატება.

მილსადენი შემდგომ გრძელდება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია 46.05.34.152. (იხ. დანართი სერვიტუტის ხელშეკრულება)

წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე ხაზობრივი ნაგებობის განთავსება განხორციელდება 135 მეტრის მანძილზე მესაკუთრესთან შეთანხმების-ხელშეკრულების საფუძველზე. საპროექტო ნაგებობის ტრასა აღნიშნულ ტერიტორიაზე თხილის პლანტაციებით დაფარულ მონაკვეთს გაივლის, პროექტი არ ითვალისწინებს მერქნული რესურსების გარემოდან ამოღებას. აღნიშნულ მონაკვეთზე მიწის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე შეადგენს 20 სმ-ს.

ზემოთ აღნიშნული ს/კ 46.05.34.152 მიწის ნაკვეთის უკიდურეს სამხრეთ საზღვრიდან საპროექტო ტრასა უხვევს თითქმის 90⁰-ით არსებული შიდასასოფლო გრუნტის გზის მიმდებარედ (1 მეტრი) მარცხენა მხარეს და გრძელდება ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით 55 მეტრის მანძილზე, შემდგომ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მიუყვება კვლავ შიდასასოფლო დანიშნულების გრუნტის გზას 175 მეტრის მანძილზე და გადაკვეთს გრუნტის გზას. მაგისტრალური მილსადენი შემდგომ დაახლოებით 400 მეტრის

მანძილზე თითქმის სრულად იმეორებს არსებული საავტომობილო გზის კონტურს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მარჯვენა მხრიდან, სადაც კვლავ კვეთს გრუნტის გზას და ხვდება შპს „ბიომო ბ“-ის კუთვნილ ს/კ 46.05.35.278 მიწის ნაკვეთის საზღვრებში, ამ მონაკვეთზე მიწის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე შეადგენს მაქსიმუმ 15 სმ-ს.

ნაკვეთის მარცხენა განაპირა საზღვრიდან ხაზობრივი ნაგებობა რომლის სიგრძე შეადგენს 280 მეტრს ჩრდილოეთის მიმართულებით გრძელდება ამავე ნაკვეთზე საპროექტო წვეთოვანი სისტემის გამანაწილებელ სადგურამდე, სადაც უნდა განხორციელდეს მაგისტრალური მილის დაერთება, რომლის კოორდინატებია : X-261588; Y-4704968, საპროექტო მიწის ნაკვეთზე მიწის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე 20-25 სანტიმეტრია.

პროექტით გათვალისწინებულია საპროექტო წყლის სატუმბი სადგურის მოწყობა, საიდანაც მოხდება საპროექტო ტერიტორიაზე წვეთოვანი სისტემის მილების მონტაჟი და დაქსელვა.



ლეგენდა: 1. საპროექტო ტერიტორია; 2. გამანაწილებელი წვეთოვანი სადგური; 3. მაგისტრალური მილსადენი; 4. დენის კაბელი; 5.

წვეთოვანი სისტემისთვის დაგეგმილია მარტივი ტიპის მსუბუქი კონსტრუქციის ე.წ. სენდვიჩ-პანელის მცირე ზომის წყლის გამანაწილებელი სადგურის მოწყობა, (პარამეტრები 3X4 მ), სადაც დამონტაჟდება ფილტრები, განთავსდება წვეთოვანი სარწყავი სისტემის ტუმბო და ავტომატური მართვის ელემენტები.



ლებენდა: 1. საპროექტო ტერიტორია; 2. გამანაწილებელი წვეთოვანი სადგური; 3. მაგისტრალური მილსადენი; 4. დენის კაბელი; 5 წყალაღების წერტილი;

პროექტით განსაზღვრული საქმიანობები

დაგეგმილი სამუშაოების ფაზები:

- მოსამზადებელი სამუშაოები (ტექნიკის მობილიზება)
- საჭირო მასალების ტრანსპორტირება, მოზიდვა/დასაწყობება (ტუმბო, მილი, სადენი)
- ტრანშეის მომზადება (გრუნტის ექსკავირება)
- მილის და ელ.სადენის განთავსება
- ტუმბოს განთავსება/მოწყობა
- წვეთოვანი სისტემისთვის წყლის გამანაწილებელი სადგურის მოწყობა (მარტივი ტიპის ე.წ „სენდვიჩ-პანელის“ ერთსართულიანი ნაგებობა)
- წვეთოვანი სისტემის დაერთება მაგისტრალურ მილებზე/დაქსელვა
- გრუნტით უკუყრილის სამუშაოების განხორციელება
- დაზიანებული უბნების აღდგენა-რეკულტივაცია, მიწის ნაყოფიერი ფენის განფენა

შენიშვნა: განხილული პროექტის შესაბამისად გადაწყვეტილია სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხაზობრივი ნაგებობის პროექტის შეთანხმდება ადგილობრივ თვითმმართველობასთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ხოლო შესაბამისი სამშენებლო-ნებართვის შემდგომ განხორციელდება პროექტით განსაზღვრული საქმიანობები.

პროექტით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირის გამოყოფა, რომელიც გააკონტროლებს სამუშაო უბანზე უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ნორმების შესრულებას.

სამუშაოების საწყის ეტაპზე განხორციელდება საპროექტო ტრანშეის შემოღობვა სპეციალური ლენტით-უსაფრთხოების მიზნით. აგრეთვე, მოეწყობა შესაბამისი საინფორმაციო ბანერი, რომ გამოირიცხოს მოსახლეობის და პერსონალის ფიზიკური დაზიანება. შემდგომ, მოქმედი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად ტრანშეის ერთ მხარეს დასაწყობდება მიწის ნაყოფიერი ფენა, ხოლო ტრანშეის საპირისპირო მხარეს ექსკავირებული გრუნტი. წინასწარი შეფასებით სამუშაოები დიდ ადამიანურ და დროის რესურს არ მოითხოვს, ვინაიდან ექსკავირებული გრუნტის მოცულობა მნიშვნელოვანი არ გახლავთ.

სამელიორაციო სისტემის მოწყობისთვის საჭირო სამუშაოები გასტანს დაახლოებით 10-14 კალენდარული დღის მანძილზე, დღის სამუშაო საათებში 8 საათიანი გრაფიკით. დასაქმებულთა საერთო რაოდენობა შეადგენს მაქსიმუმ 10 ადამიანს. ძირითადად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა. მუშა პერსონალის სასმელი წყლით უზრუნველყოფა დაგეგმილია ბუტილიზებული საშუალებებით. ტერიტორიაზე მოწყობილია საინსენერაციო ორმო, რომელიც პერიოდულად იწმინდება ხელშეკრულების საფუძველზე. პროექტით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელების პროცესში სამშენებლო ბანაკის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონალური წყაროების მოწყობა დაგეგმილი არ არის.

სატუმბი სადგურის მოწყობა დაგეგმილია დაახლოებით 12მ² მიწის ფართობზე. პირველ ეტაპზე განხორციელდება ნაყოფიერი ფენის მოხსნა და განფენა განაშენიანებისგან თავისუფალ ტერიტორიაზე, რაც დაიცავს ნიადაგის ნაყოფიერ ფენას ინტენსიური ნალექების მოსვლის შემთხვევაში მისი ხარისხობრივი დეგრადაციისგან. პერიმეტრი შემოიღობება და დაცული იქნება უცხო პირებისგან. ვინაიდან სატუმბი სადგური თავისი ტექნიკური მოთხოვნებით მარტივი ტიპის ერთსართულიან ნაგებობას წარმოადგენს, მისი საძირკვლის მოწყობისთვის მნიშვნელოვანი რაოდენობის გრუნტის ექსკავირება საჭირო არ იქნება. საძირკვლის არმირების სამუშაოების განხორციელების შემდგომ ბეტონი თვითმზიდი ტრანსპორტით შემოიზიდება ტერიტორიაზე და აღნიშნულიდან გამომდინარე დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილზე საჭირო არ იქნება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოს კომპონენტებზე უარყოფით ზემოქმედების რისკებს.

სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე გრუნტის საექსკავაციო სამუშაოებისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ 1 ერთეული სპეც/ტექნიკის GCB-ის კომპაქტური ექსკავატორის გამოყენება.

მაგისტრალური მილსადენის განთავსებისთვის გათვალისწინებული გრუნტის საექსკავაციო სამუშაოები, წყალაღების წერტილიდან, მოსახლის საკარმიდამო ნაკვეთის ჩათვლით განხორციელდება მუშა ხელის დახმარებით ტექნიკის გარეშე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დასახლებულ პუნქტთან და ზედაპირული წყლის ობიექტზე უარყოფითი ზემოქმედების

რისკებს. დარჩენილ მონაკვეთზე კი ტექნიკის გამოყენება იგეგმება 2-3 დღით, დღის სამუშაო საათებში და მოგვიანებით გრუნტის უკუყრილის სამუშაობისას კვლავ მცირე დროით.

პროექტით განსაზღვრული სამუშაოებისას მცირე დროით (რამოდენიმე საათი) მოსალოდნელია საავტომობილო გზის გადაკეტვა ორ მონაკვეთზე, რაზეც წინასწარ ინფორმირებული იქნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და დაინტერესებული პირები.

მილის ტრანშეაში განთავსების შემდეგ ექსკავირებული გრუნტი მთლიანად უკუყრილის სახით იქნება ათვისებული და შემდგომ განხორციელდება დასაწყობებული მიწის ნაყოფიერი ფენის განფენა გრუნტის ზედაპირზე. ამრიგად, პროექტით ექსკავირებული გრუნტი მთლიანად იქნება ათვისებული და ის როგორც ნარჩენი არ განიხილება.

წვეთოვანი სარწყავი სისტემის ელემენტები:

- ტუმბოები
- მაგისტრალური მილსადენი
- გამანაწილებელი მილსადენი
- წყლის საფილტრო მოწყობილობები (განთავსდება ს/კ 46.05.35.278)
- წვეთოვანი მილები
- ავტომატური მართვის საშუალება

ზედაპირული წყლის ობიექტზე მოეწყობა იტალიური წარმოების SPERONI-ს ტუმბო, რომელიც ხასიათდება ხმაურის გავრცელების საკმაოდ დაბალი დონით-70 დბა. ტუმბოს წარმადობა დამოკიდებულია სარწყავი ფართობის სიდიდეზე და შეადგენს 60 მ³-ს სთ-ში. წვეთოვანი სარწყავი სისტემა წყლის ეკონომიური ხარჯვით ხასიათდება და 80 000 მოცვის ნერგის ყოველდღიურად მოსარწყავად საჭიროა მაქსიმუმ **480 მ³** წყალი. წყლის მოხმარება დღის განმავლობაში **8 საათის** მანძილზეა განსაზღვრული და აქედან გამომდინარე მდინარის წყალაღების კვეთში წყლის მოხმარება შეადგენს **0.016 მ³**-ს წამში. ანალოგიური ტიპის და სიმძლავრის ტუმბო ასევე განთავსდება მარტივი კონსტრუქციის ნაგებობაში, სადაც დაგეგმილია წვეთოვანი სისტემის გამანაწილებელი სადგურის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

წვეთოვანი სარწყავი სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტია შემრევი და მიმწოდებელი მექანიზმი, ის უზრუნველყოფს წყლის მცენარეებისთვის მიწოდებას. ამავე დროს აუცილებელია სისტემაზე დამონტაჟებული იყოს წყლის საფილტრე მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის გაწმენდას ქვიშისა და სხვა არასასურველი მინარევებისგან. რაც შეეხება მილებს, მიმწოდებელი მილების (**PE 8bar**) **ოპტიმალური დიამეტრი შეადგენს 63 მმ-ს**, ხოლო სარწყავი მილების **16მმ-ს**. წყლის წვეთების წარმომქმნელ ორგანოს წარმოადგენს სპეციალური მიკრო წყალგასაშვები წვეთარა, რომელიც განლაგებულია მოქნილ სარწყავ მილსადენზე. წვეთარა თავსდება მიწის ზედაპირზე და მისი **დიამეტრი საშუალოდ 6მმ დან 20მმ-მდეა**.

თანაბარი ქანობის და სწორი ზედაპირის მქონე ნაკვეთებზე ირიგაციის მეთოდებიდან უპირატესობა ენიჭება წვეთოვან სარწყავ სისტემას. წვეთოვანი სარწყავი სისტემის

უმნიშვნელოვანესი ელემენტია შემრევი და მიმწოდებელი მექანიზმი, ის უზრუნველყოფს წყალის მცენარეებისთვის მიწოდებას. წვეთოვანი მორწყვის დროს წყალი მცენარეებს მიეწოდება ფესვებთან, წვეთების სახით სპეციალურად გაყვანილი მრავალჯერადი გამოყენების პოლიმერული მილებით. ამასთან, წყალთან ერთად მცენარეს მიეწოდება წყალში გახსნილი მინერალური სასუქები. წყალში ადვილად ხსნადი მინერალური საკვები ნივთიერებების წვეთოვანი მორწყვის სისტემის მეშვეობით ნიადაგში შეტანა ამცირებს სასუქის დანაკარგს და მნიშვნელოვნად ზრდის მათი გამოყენების მარგი ქმედების კოეფიციენტს. ამავე დროს აუცილებელია სისტემაზე დამონტაჟებული იყოს წყლის საფილტრე მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის გაწმენდას ქვიშისა და სხვა არასასურველი მინარევებისგან. ფილტრში წარმოქმნილი ნარჩენი ნაწილდება სარწყავ ნაკვეთზე და გამოიყენება ნიადაგის გასანაყოფიერებლად.

წვეთოვანი რწყვის სქემა ქანობის, კულტურის, ფართობის სიდიდისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ინდივიდუალურად შეირჩა, რაც მდგომარეობს შემდეგში : ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალი ტუმბოს საშუალებით მიეწოდება მაგისტრალურ მილსადენს, მიმწოდებელი მილების (PE 8bar) დიამეტრი შეადგენს 90 მმ-ს.

მაგისტრალური მილსადენი საპროექტო მიწის ნაკვეთზე მარტივი ტიპის კონსტრუქციულ ნაგებობაში განთავსებულ წვეთოვანი სარწყავი სისტემის სადგურზე საფილტრე მოწყობილობებზე დამონტაჟდება, საიდანაც გადავა გამანაწილებელ მისადენებში, რომლის დიამეტრიც 30-40 მმ-ია. გამანაწილებელი მილსადენებიდან წყალი 12-25 მმ დიამეტრის სარწყავ მილსადენებში ნაწილდება. წყლის წვეთების წარმომქმნელ ორგანოს წარმოადგენს სპეციალური მიკრო წყალგასაშვები წვეთარა, რომელიც განლაგებულია მოქნილ სარწყავ მილსადენზე. ეს მილები ქვედა სამაგრ მავთულებზე იჭიმება და ფასადებად გამოადებული ნიადაგის ზედაპირზე მცენარეთა ძირების გასწვრივ ეწყობა ისე, რომ საწვეთურები ფესვებთან იყოს განთავსებული. წვეთარას დიამეტრი კი საშუალოდ 6 მმ დან 20 მმ-მდეა.

წვეთოვანი მორწყვა არ იწვევს ირიგაციული ეროზიას, მწკრივთაშორისებში სარეველების ზრდას, ტენის დანაკარგი კი 5%-ზე ნაკლებია. ვინაიდან წვეთოვანი სისტემა წყალს პირდაპირ ფესვთა ზონაში მიმართავს აორთქლება მინიმუმამდე მცირდება. წვეთოვანი მორწყვისას პრაქტიკულად გამოირიცხება ნიადაგის დახრამვა, დაჭაობება, დამლაშება, დამჟავება, მორწყვით გამოწვეული მცენარეთა დაავადებები და ა.შ. სარწყავი წყლის ეკონომია თვითდინებით მორწყვასთან შედარებით 50-60%-ის ტოლია. ამასთან, წვეთოვანი მორწყვის დროს შესაძლებელია მცენარეთა გამოკვებისა და დაცვის ღონისძიებების კომპლექსურად განხორციელება. აღსანიშნავია, რომ ამ დროს მცენარეების მიერ სასუქების ათვისება 75-80 %-ს აღემატება.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცვის ფესვები არ არის ღმა და მათთვის რეკომენდირებულია ხშირი არალრმა რწყვა, შესაბამისად უდიდესი მნიშვნელობა აქვს დამატებითი რწყვის სათანადო მართვას, ხოლო ავტომატური მართვის ელემენტები იძლევა რწყვის ავტომატიზებული პროცესის შესაძლებლობას და არეგულირებს წყლის მიწოდება-შეწყვეტას ფერმერის მითითებისამებრ.

აღნიშნული სამუშაოების განხორციელების მაშტაბის და სპეციფიკის გათვალისწინებით გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ბიოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები პრაქტიკულად არ არსებობს.

პროექტით არ არის გათვალისწინებული მრავალწლიანი ხე-მცენარეების ბუნებიდან ამოღება.

ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

პროექტის განხორციელების ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება შეიძლება გამოწვეული იყოს შესაბამისი ტექნიკის გამოყენებისას გამოყოფილი ძრავის გამონაბოლქვების და ტრანსპორტის გადაადგილებით ამტვერების სახით. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის სტაციონალური წყაროების ადგილზე განთავსება არ იგეგმება. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოები იწარმოებს შეზღუდულ ვადებში და მილსადენის მოწყობის პროცესში გამოყენებული იქნება მხოლოდ 1 სამშენებლო ტექნიკა, პროექტის განხორციელებისას ატმოსფერულ ჰაერზე ემისიებით გამოწვეული ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც უმნიშვნელო და მათი რაოდენობრივი გაანგარიშება არ ჩაითვალა საჭიროდ.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რისკის პრევენციისა და მინიმიზაციის მიზნით საქმიანობის განმახორციელებელი განახორციელებს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს: ტრანსპორტისა და ტექნიკის მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის დაცვა (განსაკუთრებით გრუნტიან გზებზე), სიფრთხილის ზომების მიღება, პერსონალის ინსტრუქტაჟი, საჩივრების დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.

სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია მავნე ნივთიერებათა ემისიებს არ უკავშირდება. ამ თვალსაზრისით რაიმე ღონისძიებების გატარება საჭირო არ არის.

იმის გათვალისწინებით, რომ სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციას სეზონურობა ახასიათებს ატმოსფერულ ჰაერზე და კლიმატზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება, აღნიშნულიდან გამომდინარე არც მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება არ იქნება საჭირო.

ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

როგორც ზემოთ თავეებში აღინიშნა, პროექტით განსაზღვრული სამუშაოები გასტანს მაქსიმუმ 14 კალენდარულ დღეს. აღნიშნულ პერიოდში სატრანსპორტო ოპერაციები ძირითადად დაკავშირებული იქნება სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებასთან, რომელიც დასაწყობდება საპროექტო წვეთოვანი სისტემის სადგურის მიმდებარედ. შემდგომ სატრანსპორტო ოპერაციები დაუკავშირდება ხაზობრივი ნაგებობების ელემენტების ადგილზე მიტანას და განთავსებას. საშუალოდ დღეში დაგეგმილია ერთი სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელება. პროექტის განხორციელება ეტაპზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს,

რომ გრუნტის გზის ორ მონაკვეთზე მოსალოდნელია რამდენიმე საათით სატრანსპორტო გადაადგილების შეზღუდვა, რაზეც წისანწარ ინფორმირებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა და დაინტერესებული მხარეები. აქვე უნდა აღინიშნოს რომ სატრანსპორტო გადაადგილების შეზღუდვის მიუხედავად შესაძლებელია სხვა ალტერნატიული გრუნტის გზების გამოყენებაც.

პროექტით არ არის გათვალისწინებული არაგაბარიტული ტვირთების გადაადგილება, რაც დამატებით სატრანსპორტო ნაკადების შეზღუდვასთან იქნებოდა დაკავშირებული. სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას მოსალოდნელია საავარიო შემთხვევებიც, თუმცა საოპერაციო ტერიტორია არ ხასიათდება მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ნაკადით და სათანადო ზედამხედველობის და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები გატარებით როგორცაა: ა/ტრანსპორტის და სპეც/ტექნიკის გადაადგილების სიჩქარის შეზღუდვა, არ დაიშვება ტექნიკურად გაუმართავი საშუალებები, სათანადო ზედამხედველობა და ა.შ სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც მცირე, რომელიც მნიშვნელოვან შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული არ იქნება.

აკუსტიკური ხმაური და ვიბრაცია

საპროექტო ტერიტორიაზე სამუშაოების განხორციელებისას ხმაურის გავრცელების წყაროა მიწის სამუშაოებისთვის გამოყენებული სპეც/ტექნიკა და საჭირო მასალების მოსაზიდი ტრანსპორტი.

პროექტის ფარგლებში განსაზღვრული საჭირო მასალების ტრანსპორტირება განხორციელდება საავტომობილო გზის და მიწის ნაკვეთამდე მისასვლელი შიდასასოფლო გრუნტის გზების გამოყენებით დღის საათებში. ა/ტრანსპორტის და სპეც/ტექნიკის გამოყენება პროექტის ფარგლებში მინიმალურია, ხმაურით და ვიბრაციით მოსალოდნელი ზემოქმედება მნიშვნელოვნად არ შეცვლის ფონურ მდგომარეობას.

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, სამუშაოების მცირე მოცულობიდან გამომდინარე გრუნტის საექსკავაციო სამუშაოებისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ 1 ერთეული სპეც/ტექნიკის კომპაქტური ექსკავატორის გამოყენება, იგი გამოირჩევა ხმაურის გავრცელების საკმაოდ დაბალი დონით - 73 დბა.

ტექნიკის გამოყენების ინტენსიობა დაბალია, შესაბამისად, დაბალია ხმაურისა და ვიბრაციის დონეები. მიწის სამუშაოების განხორციელება რეგლამენტირებული იქნება დღის საათებში, ასევე, როგორც უკვე ავღნიშნეთ საპროექტო დერეფანი ძირითადად მიუყვება არსებულ საავტომობილო გზას პარალელურად და მიწის სამუშაოებისას გამოყენებული ტექნიკა გამოწვეული ხმაურით მნიშვნელოვნად ვერ შეცვლის ფონურ მდგომარეობას.

სამუშაოების დასრულების შემდგომ ხმაურის წყაროები შეწყდება. რაც შეეხება სატრანსპორტო ნაკადების უმნიშვნელო ზრდის შედეგად გამოწვეული აკუსტიკური ხმაურს,

ის პროექტის ორივე ფაზაზე უმნიშვნელო იქნება და ამასთანავე განხორციელდება ძირითადად მჭიდროდ დასახლებული პუნქტების გვერდის ავლით.

შედარებით სენსიტიურ ადგილს წარმოადგენს კერძო საკუთრებაში არსებულ ს/კ46.05.34.152 მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 230 მ სიგრძის მონაკვეთი სადაც უნდა განხორციელდეს გრუნტის საექსკავაციო სამუშაოები. გრუნტის სამუშაოები ამ მონაკვეთზე დასახლებულ პუნქტებთან შედარებით ახლოს განხორციელდება, თუმცა, სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით ის მცირე დროს მოიცავს, ამასთან გამოყენებული ტექნიკა საშუალებას იძლევა სამუშაოები დროის მოკლე მონაკვეთში განხორციელდეს რაც დღის მანძილზე 2-3 სთ არ აღემატება სამუშაოების ორივე ფაზაზე.

ადგილობრივი მოსახლეობა ამ მონაკვეთზე დამატებით წინასწარ იქნება გაფრთხილებული, არ დაიშვება გაუმართავი ტექნიკის ექსპლუატაცია, სპეც/ტექნიკის ძრავი იმუშავეს დაბალ ბრუნზე. აკუსტიკური ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედება აღნიშნულ მონაკვეთზე შეიძლება შეფასდეს როგორც საშუალო, ხოლო საჭიროების შემთხვევაში-საჩივრები შესაძლებელია ამ მონაკვეთზეც განიხილებოდეს გრუნტის ხელით ექსკავირებაც.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, შეიძლება გამოვყოთ ტუმბოს ხმაური და ვიბრაცია. პირველ შემთხვევაში განიხილება ტუმბო, რომელიც განთავსდება მდ. ოჩხამურში. ტუმბო ამ შემთხვევაში წარმოადგენს ე.წ წყალში ჩაძირულ ტუმბოს ტიპს, რომელიც უნდა განთავსდეს გოფრირებულ მილში. მანძილი წყალაღების წერტილიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტს შორის მინიმუმ 200 მეტრს აღემატება და სიმაღლეთა სხვაობა ზღვის დონიდან კი შეადგენს 27 მეტრს, რაც თეორიულად გამორიცხავს პირდაპირი აკუსტიკური ზემოქმედების რისკს.

წვეთოვანი სისტემის სადგურიდან, სადაც უნდა მოეწყოს ტუმბო დანადგარი უახლოესი დასახლებული პუნქტი 145 მეტრის მანძლითა დაშორებული ჩრდილოეთით. ვინაიდან წვეთოვანი სისტემის სადგურის მოწყობა გათვალისწინებულია საპროექტო მარტივი ტიპის ნაგებობაში, ნაგებობა თავის მხრივ კიდევ მნიშვნელოვნად ამცირებს აკუსტიკური ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებას.

აკუსტიკური ხმაურის გავრცელება ზოგადად ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ წარმოდგენილი პროექტის შეფასებისას მნიშვნელოვანია ვიხელმძღვანელოთ აკუსტიკური ხმაურის გავრცელების სტანდარტული მეთოდოლოგიით, ჩვენს შემთხვევაში ტუმბო- 70 db პირდაპირი ზემოქმედება და გავრცელება (იხ.ცხრილი)

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული	ბგერითი წნევის დონეები დეცებელებში საწარმოდან r მანძილზე (მ)								
	10	20	40	50	100	150	200	250	300
63	42,00	35,98	29,96	28,02	22,00	18,48	15,98	14,04	12,46
125	41,99	35,97	29,93	27,99	21,93	18,37	15,84	13,87	12,25
250	41,99	35,95	29,90	27,95	21,85	18,25	15,68	13,67	12,01

500	41,97	35,92	29,84	27,87	21,70	18,03	15,38	13,29	11,56
1000	41,94	35,86	29,72	27,72	21,40	17,58	14,78	12,54	10,66
2000	41,88	35,74	29,48	27,42	20,80	16,68	13,58	0,00	0,00
4000	41,76	35,50	29,00	26,82	19,60	0,00	0,00	0,00	0,00
8000	41,52	35,02	28,04	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00

წვეთოვანი სისტემის სადგური (მარტივი ტიპის ე.წ სენდვიჩ-პანელი) თავისმხრივ კიდევ უფრო ამცირებს გარემოს გარე რეცეპტორებზე უარყოფით ზემოქმედებას, შესაბამისად ხმაურის და ვიბრაციის მნიშვნელოვანი გავრცელება გარემოში პრაქტიკულად მოსალოდნელი არ არის.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში აკუსტიკური ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება უმნიშვნელოა და დამატებით სპეციალური შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება საჭირო არ იქნება.

№	სათავსებისა და ტერიტორიების გამოყენებითი ფუნქციები	დასაშვები ნორმები		
		L _{დღე} (დბA)		L _{ღამე} (დბA)
		დღე	ღამე	
1	სასწავლო დაწესებულებები და სამკითხველოები	35	35	35
2	სამედიცინო დაწესებულებების სამკურნალო კაბინეტები	40	40	40
3	საცხოვრებელი და საძილე სათავსები	35	30	30
4	სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების სამკურნალო და სარეაბილიტაციო პალატები	35	30	30
5	სასტუმროების/ სასტუმრო სახლების/ მოტელის ნომრები	40	35	35
6	სავაჭრო დარბაზები და მისაღები სათავსები	55	55	55
7	რესტორნების, ბარების, კაფეების დარბაზები	50	50	50
8	მყურებლის/მსმენელის დარბაზები და საკრალური სათავსები	30	30	30
9	სპორტული დარბაზები და აუზები	55	55	55
10	მცირე ზომის ოფისების (≤100 მ²) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე	40	40	40
11	დიდი ზომის ოფისების (≥100 მ²) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკით	45	45	45
12	სათათბირო სათავსები	35	35	35
13	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს	50	45	40

14	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს (სართულების რაოდენობა >6), კულტურულ, საგანმათლებლო, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო დაწესებულებებს	55	50	45
15	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან სასტუმროებს, სავაჭრო, მომსახურების, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს	60	55	

წარმოდგენილი პროექტი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 „ტექნიკური რეგლამენტი – „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ დადგენილების მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს.

ნარჩენები

მშენებლობის ეტაპზე ნარჩენების მართვა დაკავშირებული იქნება ექსკავირებული ფუჭი ქანების მართვასთან. მიწის სამუშაოების დროს ექსკავირებული გრუნტი (ძირითადად ღორღის შემცველი ფენა) მთლიანად გამოყენებული იქნება მილსადენის ტრანშეის შესავსებად. ასევე, მოხდება მოხსნილი მიწის ნაყოფიერი ფენის განფენა გრუნტის ზედაპირზე. შესაბამისად, ტრანშეიდან ამოღებული მიწა პროექტით როგორც ნარჩენი არ განიხილება.

